

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი *2424

აღმოსავლეთ ევროპა - თავისუფლების ოცნი წელი A2



ტერაქტი ნატოს შტაბ-ბინასთან ქაბულში A4



ფანჯარა ევროპიდან რუსეთში A5



ქართული წვლილი გლობალურ უსაფრთხოებაში



ამერიკელები ქართველ ჯარისკაცებს კონტრტერორისტული ოპერაციებისთვის მოამზადებენ

ამერიკელი საზღვაო ქვეითები საქართველოში იმყოფებიან. სამხედრო ინსტრუქტორები პირველი სექტემბრიდან დაიწყებენ ქართველი ჯარისკაცების პირველი ნაკადის მომზადებას. სწავლება გაიმართება ნატო-ს პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში. შეერთებული შტატები საქართველოში 750 ჯარისკაცს ჩაუტარებს სწავლებას.

დათო ბაჩისონია

აშშ-ს საზღვაო ქვეითთა კორპუსის 5 ინსტრუქტორი თბილისში შა-

ბათს ჩამოვიდა. მათ უკვე დაიწყეს სწავლების პროგრამაზე მუშაობა. სამშვიდობო ვარჯიშების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კონტრტერორისტული მოქმე-

დებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამოშუქებას. ჯარისკაცები შეისწავლიან ახალი სამხედრო იარაღის გამოყენებას. ავღანეთში მიმდინარე უსაფრთხოების ხელშეწყობის ოპერაციისთვის მოამზადებენ საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე და მესამე ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებს. გარდა ამისა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ლოჯისტიკის სტრუქტურის თანამშრომლები საფრანგეთში

აიმაღლებენ კვალიფიკაციას. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების განცხადებაში აღნიშნულია, რომ "მიღებულია გადაწყვეტილება, გავზავნოთ საქართველოში საზღვაო ქვეითები, რომლებიც ქართულ ბატალიონში 750 ჯარისკაცს ჩაუტარებენ სწავლებას. საზღვაო ქვეითთა შემადგენლობა იქნება 60-70 პირი."

ბაზრძილა A2 ბვირძუა

ადვილი პური და უბემრიელისი პიცა

ნოდარ ლადარია

გასულ კვირას "24 საათმა" გამოაქვეყნა ერთ-ერთი დამატება, რომელიც ევროატლანტიკურ ბლოკში საქართველოს ინტეგრაციას ეხება და სახელიც შესაბამისი აქვს: "ნატო საქართველოში". თუმცა დამატებებს იშვიათად ვკითხულობ, ჩემი ყურადღება მაინც მიიპყრო "რუსთავი 2"-ის რეპორტიორის, თენგიზ გოგოტიშვილის სტატიამ "ვისაც გვახსოვს, გავგატარეთ!" — აქ ავტორი ეხება ერთ საკმაოდ გავრცელებულ და ჩვეულებრივ ფენომენს. მაგ-

რამ, უნდა ითქვას, საქართველოში ძალზე ცოტა რამაა "ჩვეულებრივი", რადგან ჩვენ მიერ საკუთარი თავის აღქმა უფრო ხშირად აღმატებულ ხარისხში გამოიხატება: ამიტომაც ამოხეთქა ამ ტენდენციამ ენის ყოველდღიურ გამოყენებაში და სარველასავით მოედო ზეპირ თუ წერილობით მეტყველებას ფორმები: "უგემრიელესი", "უჭკვიანესი", რა თქმა უნდა, "უნიჭიერესი" და კიდევ მრავალი ამის მსგავსი.

ერთი სიტყვით, თენგიზ გოგოტიშვილი ისტორიული მახსოვრობის დღემოკლებას ჩივის: თუ შარშან ავგისტოში ყვე-

ლა (უმრავლესობა მაინც) აღსაყვანი იყო სამართლიანი რისხვით და ყველას (უმრავლესობას მაინც) უხაროდა თბილისში სხვა სახელმწიფოთა ლიდერების არნახული მოზღვავება, დღეს ვითარება საპირისპიროა და სტატიის ავტორს უკვირს, რომ მეგობარი, რომელმაც ტელეეკრანზე თვალი მოჰკრა წარწერას — "ბრძოლა გრძელდება!" — ეკითხება, ეს რას ნიშნავსო.

მაგრამ მოვლენა მართლაც საკმაოდ გავრცელებული და ჩვეულებრივია: არც საქართველოში და არც სხვაგან ისტორიული მეხსიერება თავისთავად არ ჩნდება

და არ არსებობს, თუ ის მუდმივად არ იკვებება გარედან. აი, "რუსთავი 2" კი, კაცმა რომ თქვას, არც წარმოქმნის და არც კვებავს ისტორიულ მეხსიერებას...

არა, მთლად უყურადღებობასაც ვერ დავაბრალებთ: თითქმის ყოველდღე ისმის "კურიერის" ლეთაებრივი ეთერიდან, თუ რას ამბობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ "გავლენიანი" "გარდიანი", თუ ამ ზედსართავს მოკლებული "შპიგელი".

ბაზრძილა A3 ბვირძუა

24 საათი "24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge ჩვენი პარტნიორები: TBC BANK, GRDC group, შპს სადაზღვეო ჯგუფი

ერთი წელი ოკუპაციის პირობებში

ახალგორის რაიონის ოკუპირებიდან ერთი წელი შესრულდა. 2008 წლის 16 აგვისტოს ახალგორსა და ახალგორის რაიონის სოფლებში რუსული საოკუპაციო ჯარები და ოსური შენაერთები შევიდნენ. იმავე დღეს რუსმა სამხედრო მოსამსახურეებმა ადგილობრივი მოსახლეებისთვის რუსული პასპორტების შეთავაზება დაიწყეს. ოკუპაციის პირველივე დღეს, 21:15 საათზე, დაახლოებით 60 სამხედრო მანქანა დისლოცირებულ იქნა ახალგორის შესასვლელთან, თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან 40 კილომეტრის დაშორებით. რუსული ოკუპაციის შედეგად, ახალგორის რაიონიდან დღემდე დევნილობაში 5348 ადამიანი რჩება.

ინტერპრესნიუსი

პერეველების გასაჭირი

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზურაბ ცერცვაძე ოკუპირებული პერევის ტერიტორიაზე მისვლასა და ოსების მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროების ფაქტებზე საუბრობს. მისი თქმით, ხშირია შემთხვევები, როცა მთვრალი ბოევკები ოსების მიერ კონტროლირებადი სოფელ სინაგურიდან ქართულ სოფელში გადმოდიან და ქართულ მოსახლეობას აწიოკებენ.

“აგრესია ოსების მხრიდან მოდის, მაგრამ რუსები ამას ხელს უწყობენ. იყო შემთხვევა, როცა მთელი ღამე ისროდნენ, გამოიყვანეს მოსახლეობა, ქალებს შეურაცხყოფა მიაყენეს და საქონელი გაიტაცეს. დღემდე პერევისა და ქარქმანში ათეულობით სული საქონელია დაკარგული”, - აცხადებს ცერცვაძე.

თავად პერევის მოსახლეობა საქართველოს ხელისუფლებიდან მეტ ყურადღებას ითხოვს და ამბობს, რომ მსხვილფეხა საქონლის მასიური ქურდობებისა და ოსების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიაზე საძოვრების მოქცევის გამო, ულუკმაპუროდ დარჩენა ემუქრებათ.

ასევე რთული ვითარებაა შექმნილი რუსების მიერ კონტროლირებადი ქართულ სოფელ ქარქმანშიც, სადაც მოსახლეობის რაოდენობა განახევრებულია.

“სოფლებს ძირითადად ახალგაზრდები ტოვებენ, რადგან ხშირია შეურაცხყოფის ფაქტები. საჩხერეში გადმოვიყვანეთ ორი ოჯახი, რომლებსაც იმის გამო, რომ ამ ოჯახიდან ახალგაზრდები ქართულ ჯარში მსახურობენ, რუსები და ოსები მოსვენებას არ აძლევდნენ. ორივე ოჯახს საჩხერეში ცხოვრების ქირის ფულს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი უფინანსებს”, - აღნიშნავს ცერცვაძე.

ვარაუდობენ, რომ სექტემბრიდან ოკუპირებულ ქართულ სოფლებში რუსული პასპორტების გაცემა დაიწყება.

როგორც პერევის მცხოვრებლები ამბობენ, მოსახლეობას შესაბამისი ანკეტები უკვე შეავსებინეს. ადგილობრივები აცხადებენ, რომ წინააღმდეგობის განევას აზრი არა აქვს, რადგან ამან ოკუპირებულ ტერიტორიაზე მათი ყოფა შეიძლება უფრო დაამძიმოს.

საჩხერის მუნიციპალიტეტის ჭალის თემის გამგებლის დიანა ბერიძის თქმით, რუსული პასპორტებით უკვე სარგებლობს ქართული სოფლების - სინაგურის, თედელეთის, ჯალაბეთისა და ქარქმანის მოსახლეობის ნაწილი. როგორც ბერიძე აღნიშნავს, ამ სოფლების მოსახლეობას ქართულ პასპორტების აქვს და ისინი, შესაბამისად, სარგებლობენ როგორც ქართული, ასევე ოსური ადმინისტრაციის მომსახურებით.

საკუთარი ინფორმაცია

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები მესტიაში

მესტიას საპარლამენტო უმრავლესობის წევრები სტუმრობენ. “სახალხო დილოგის” ფარგლებში, მესტიაში ჩავიდნენ პარლამენტარები პეტრე ცისკარიშვილი და ელდარ კვერნაძე. ისინი რეგიონის მოსახლეობას შეხვდნენ და არსებულ პრობლემებს ადგილზე გაეცნენ.

მესტიელების ძირითადი მოთხოვნებია დასაქმება, სკოლების, ბაგა-ბაღების შეკეთება და გზების დაგება, ისინი აგრეთვე ითხოვენ კომპენსაციის რესტავრაციას, რაზეც უმრავლესობის წევრები აცხადებენ, რომ რიგი საკითხები რეგიონში აუცილებლად მოგვარდება.

მესტიის მოსახლეობასთან შეხვედრებს გარემოს დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძეც გამართავს.

ინტერპრესნიუსი

აღმოსავლეთ ევროპა - თავისუფლების ოცი წელი



დიმიტრი ავალიანი

9-12 სექტემბერს პოლონეთის საკურორტო ქალაქ კრინიცაში მიცხრამეტე ეკონომიკური ფორუმი გაიმართება.

ტრადიციული ღონისძიება, რომელზეც ევროპის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტა იკრიბება, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა. წლებგანდელი ფორუმი სოციალისტური ბანაკის დაშლის და აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლების 20 წლისთავს მიეძღვნება.

“ევროპული სლიდარობა. რევოლუციიდან 20 წლის შემდეგ”, - ასეთია კრინიცაში მე-19 ფორუმის დევიზი. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები რეგიონის ქვეყნების სოლიდარობის დღევანდელ მდგომარეობას შეაფასებენ; ასევე განიხილავენ ევროპის აღმოსავლური პეტიციონების პროგრამასა და აღმოსავლეთ ევროპის რუსეთთან ურთიერთობის პრობლემებს.

განსახულებელ თემებში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავენ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისთან დაკავშირებული საკითხებიც. ფორუმის მინისტრული იმსჯელებენ ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებზე.

წლებგანდელ ფორუმს ათას ხუთასზე მეტი სტუმარი ეწვევა ევროპიდან, ცენტრალური აზი-

იდან, აშშ-დან და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან.

ფორუმის ორგანიზატორები ამ ფართო საერთაშორისო ღონისძიების მიზნებს შორის ასახელებენ ევროკავშირის ქვეყნებსა და მათ მეზობლებს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისთვის ხელსაყრელი ატმოსფეროს შექმნას. ფორუმზე განსახილველი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი საკითხი ევროკავშირის აღმოსავლეთის პოლიტიკაა. საერთაშორისო მედიამ კრინიცაში ფორუმს “აღმოსავლური დავოსი” უწოდა.

ფორუმის პროგრამით გათვალისწინებულია ასზე მეტი დისკუსია საერთაშორისო პოლიტიკის და უსაფრთხოების, სახელმწიფოებრივი რეფორმების, მეზობლებთან ევროკავშირის უერთიერთობის, ენერგეტიკის, მაკროეკონომიკის, ბიზნესის მართვის, კულტურის და მეცნიერების საკითხებზე.

საზეიმო სხდომის დროს გაიმართება ეკონომიკური ფორუმის ყოველწლიური ჯილდოების გადაცემა, რომელთა შორისაა: “ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ადამიანი”; “ახალი ევროპის ახალი კულტურა”; “ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კომპანია”.

2006 წელს გამართულ ფორუმში, რომლის თემა იყო “ევროპული გამოწვევები და ახალი ევროპული იდენტურობა”, მონაწილეობა მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. იგი “2005 წლის აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ადამიანად” დასახელდა, როგორც “პოლიტიკოსი, რომელმაც საკუთარი პოზიციითა და საქმიანობით ყველაზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა სიტუაციაზე ევროპის ამ ნაწილში”.

გასულ წელს კრინიცაში გამართულ დისკუსიებში საქართველოს დელეგაციამ მიიღო მო-

წინილება სახელმწიფო მინისტრის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძის ხელმძღვანელებით. ფორუმი, რომლის თემა იყო “ცენტრალური ევროპა” - პარტნიორი თუ სტატუსი?, რუსეთ-საქართველოს ომიდან ერთი თვის შემდეგ გაიმართა. შესაბამისად, რუსული აგრესიის თემა ერთ-ერთი წამყვანი იყო. როგორც კრინიცაში გამოჩნდა, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტმა ევროპის მასშტაბით არაერთი მწვავე და მტკივნეული საკითხი დააყენა. საქართველოში მომხდარი კონფლიქტის თემამ სხვადასხვა საკითხებზე გამართულ დებატებში არაერთხელ იჩინა თავი. მათ შორის ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობის, “ცივი ომის” შესაძლო განახლების, ნატო-ს გაფართოებისა და ევროპისათვის გაზის მონოდების ალტერნატიული წყაროების შესახებ დისკუსიებში.

შარშანდელი ფორუმის გახსნისას, პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა ღონაღდ ტუსკმა, რომელიც ფორუმზე “აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის წლის ადამიანად” დასახელდა, საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხების განსაკუთრებულ მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. “პოლიტიკა პოტენციალების თამაშია, მაგრამ ეს უნდა იყოს არა სამხედრო, არამედ, ეკონომიკური პოტენციალების თამაში, აგებული ნდობაზე”, - განაცხადა ტუსკმა.

უსაფრთხოების მნიშვნელობაზე სწორედ საქართველოში მიმხდარი მოვლენების ფონზე ყურადღება პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმაც გამახვილა ფორუმის მონაწილეებიანმა წერილობით მიმართვაში. პრეზიდენტის განცხადებით, ევროკავშირი ვალდებულია უსაფრთხოების პოლიტიკა შეიმუშავოს, “მით უმეტეს, როდესაც კავკასიაში კონფლიქტია, ევროკავშირი კი ამაზე პა-

სუხი არ აქვს”. კაჩინსკიმ ასევე აღნიშნა, რომ “ნათობი და გაზი არ უნდა იყოს პოლიტიკური ზეწოლის საშუალება”.

ფორუმის მონაწილეებს ნელსაც წარედგინებათ მორიგი უკვე მეცხრე მოხსენება “ახალი ევროპა. რაპორტი ტრანსფორმაციის შესახებ”. დოკუმენტის მიზანია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ტრანსფორმაციასა და ეკონომიკურ ინტეგრაციაში მიღწეული წარმატებების შეფასება. რაპორტი მომზადებულია სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ.

ფორუმის ორგანიზატორია პოლონეთში მოქმედი “აღმოსავლური კვლევების ინსტიტუტი”. 1993 წელს დაარსებული არასამთავრობო ინსტიტუტის საქმიანობა მიმართულია ევროპის, პირველ რიგში აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის, ქვეყნების თანამშრომლობაზე. ინსტიტუტი ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს რეგიონის ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო კავშირების განვითარებას. “აღმოსავლური კვლევების ინსტიტუტის” მიერ ჩატარებული უმნიშვნელოვანესი ღონისძიება სწორედ ეკონომიკური ფორუმია.

ყოველ წელს ფორუმს მრავალი მედიასაშუალება აშუქებს. გასულ წელს კრინიცაში ფორუმს 400-ზე მეტი ჟურნალისტი დაესწრო. წელს ფორუმის მედია-პარტნიორებს შორის არიან “ფაინენშენალ თაიმსი”, “სი-ენ-ენი”, “ფრანს-პრესი”, “ფორბსი” და სხვა წამყვანი საერთაშორისო მედიასაშუალებები.

გაზეთი “24 საათი” კრინიცაში მე-18 ეკონომიკური ფორუმის ოფიციალური მედია-პარტნიორია. ინფორმაცია ფორუმის შესახებ იხილეთ ვებ-გვერდზე www.forum-ekonomiczne.pl

ქართული წვლილი გლობალურ უსაფრთხოებაში

პირველი გვირგვინი

სწავლების შემდეგ საქართველოდან ავღანეთში გაიგზავნებიან როგორც ასეულის, ასევე ბატალიონის დონის ჯგუფები. საქართველოს თავდაცვის მინისტრ დავით სიხარულიძის თქმით, ამერიკელი სპეციალისტები საქართველოში ეტაპობრივად ჩამოვლენ და იმ ქართულ ბატალიონს მოამზადებენ, რომელიც ავღანეთში ამერიკული სარდლობის ქვეშ იქნება. თავდაპირველად, ქართული კონტიგენტი მიმდინარე წლის მიწურულს შეერთებული შტატების ძალებთან ერთად განთავსდება ავღანეთში. გეგმის მიხედვით, ქართული შეიარაღებული ძალების 170 ჯარისკაცი ავღანეთში ნოემბერში გაემგზავრება. შემდეგი ჯგუფი კი უკვე 2010 წელს ფრანგული სარდლობის ქვეშ გაერთიანდება. მაგრამ, როგორც საფრანგეთის, ასევე აშშ-ს ჯგუფი საბოლოო ჯამში დაემორჩილება

გაერთიანებულ სარდლობას, რომელიც ავღანეთში მიმდინარე ოპერაციას ხელმძღვანელობს.

პენტაგონის წარმომადგენელმა ბრაიან უიტმენმა განაცხადა, რომ საქართველოში დაგეგმილი ტრენინგი მხოლოდ ავღანეთის უსაფრთხოების ხელშეწყობის საერთაშორისო მისიაზე იქნება ორიენტირებული. ხოლო პენტაგონის პრესსამსახურის ხელმძღვანელ ჯეფ მორელის თქმით, ამ გადაწყვეტილების მიღებამდე აშშ-მ კონსულტაციები გამართა რუსეთთან, რათა თავიდან აეცილებინა ყოველგვარი გაუგებრობა. “ერთი მხრივ, აშშ-ს სურს დაანახოს საქართველოს თავისი მეგობრული დამოკიდებულება და დაეხმაროს მას ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობაში. მეორე მხრივ, შეერთებულ შტატებს არ უნდა რუსეთთან ურთიერთობების გამწვავება, -

განმარტა მორელიმ “როიტერსთან” საუბარში, - საქართველოს სურს, რომ იყოს ავღანეთში მოქმედი საერთაშორისო კოალიციის ნაწილი. ხოლო, აშშ მზად არის, მას ამ კუთხით დაეხმაროს.” მისი თქმით, სწავლება არ ითვალისწინებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას.

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გიორგი კანდელაკის თქმით, ეს არის საქართველოსა და შეერთებული შტატების სამხედრო თანამშრომლობის მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტი. მისი აზრით, ურთიერთობა ვითარდება სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ქართლის სულისკვეთების თანახმად და მიმავალში კიდევ უფრო ინტენსიური გახდება. “ვინც ფიქრობს, რომ ეს თანამშრომლობა მოკე-

დება, მას ამის არანაირი ილუზია არ უნდა ჰქონდეს”, - განაცხადა კანდელაკმა. მისი აზრით, ავღანეთში მიმდინარე ოპერაციებში, საქართველოს მონაწილეობა რამდენიმე კუთხით არის მნიშვნელოვანია: “პირველ რიგში ჩვენი მეზობლები მიიღებენ საბრძოლო გამოცდილებას. ერაყისგან განსხვავებით, უფრო გამომწვევ გარემოში იქნებიან. ისინი ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე იმოქმედებენ სამხრეთ ავღანეთში. ამასთან, ავღანეთში მიმდინარე ოპერაცია არის ნატო-ს ოპერაცია და არა ალიანსის წევრი ამა თუ იმ ქვეყნის. ამიტომ მასში მონაწილეობა, ჩვენი ნატო-ში ინტეგრაციის დასაჩქარებლად უფრო სერიოზული ფაქტორი იქნება, ვიდრე ეს ერაყის შემთხვევაში იყო.”

გაზეთი “24 საათი” გამოცემილი შპს “მეკ”. რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუშვილი, პაატა შვებაძე.

რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მხარეთელი რედაქტორი). რედაქტორები: მია ჭალავანიძე (საზოგადოებო, Weekend), ინგა ალაიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილაშინია (რევიუ), კახა ფარუშვილი (სპორტი). რედაქციის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლომიძე ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ტექნიკის მენეჯერი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალვაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ადვილი პური და უბემრილისი პიცა

პირველი გვარდიანს

მაგრამ ეს სტანდარტულად შეკონინებული "ნიუსები" ისტორიული მეხსიერების კვებას როდი ნიშნავს: ეს უბრალოდ მაყურებლის ნესტოებში პიტნის პლანტაციების გაშენებაა. უფრო ზუსტად კი შემდეგი რამ ხდება...


გავისხენოთ პატარაკაციშვილის "იმედი". ერთხელ ვიღაც ჟურნალისტიმ მას "ყველაზე დაბალანსებული" ტელევიზია უწოდა — ვინ იცის, იქნებ ასეც იყო. ახლა ქრონომეტრაჟის დათვლა-განანილებაზე არ მოგახსენებთ. იმის თქმა მიხდა, რომ პატარაკაციშვილის "იმედიც" არ გამოირჩეოდა მეთოდების მრავალფეროვნებით: ისიც დაჟინებით აწვებოდა, ასე ვთქვათ, მტკივნეულ ნერტილებს. მაგრამ იმით განსხვავდებოდა, რომ მის მიერ არჩეული ნერტილები მართლაც მტკივნეული იყო.

ეს კი განმარტებას მოითხოვს.

უკვე მოგახსენეთ, რომ მის უდიდებულესობა "დაბალანსებას" არ ვეხები. ასევე არ ვეხები "ჭეშმარიტება-სიცრუის" კატეგორიას. მტკივნეულობა სულაც არ იყო გამოწვეული იმით, რომ ეთერიდან მონოდებული ინფორმაცია რაღაც საჭირო-როტო პრობლემებს ასახავდა ან ვითარების ღრმა ანალიზს შეიცავდა: მართალია, პრობლემა იყო და ანალიზსაც საჭიროებდა, მაგრამ ეს არ იყო არსებითი: ტელევიზია უბრალოდ და სწორხაზოვნად აღიზიანებდა იმას, რაზეც დასაწყისში მოგახსენეთ — საკუთარი თავის გადამეტებულ აღქმას. ეს ფენომენი, თავისთავად, პათოლოგიურია, აქედან გამომდინარე კი ეფექტი მართლაც საოცარი და, რაც მთავარია, მყისიერი იყო: ნარმოუდგენილად მტკივნეული რეაქცია იმაზე, რომ "ვილაცას ესვრიან", "ვილაცას ქონებას ართმევენ", "ვილაცას ჩაგრავენ" — აქედან კი "ყველა" ვინც ციხეშია, უსამართლოდ ზის, ხოლო ვისაც განაჩენი გამოაქვს — უპირობოდ "მკვლელია". ტოტალური "დაუსჯელობა-დაუცველობის" დამკვიდრება, თანაც მაყურებელი იმთავითვე დარწმუნებული იყო, რომ თვითონ "დაუცველია", ისინი კი "დაუსჯელები" არიან. ამაზე არაერთხელ დანერვილა... აღარ გავაგრძელებ.

უბრალოდ, მინდა ვთქვა, რომ "რუსთავი 2" დაახლოებით იგივე მიზანს ეპოტინება და ამ მიზნის მისაღწევად ასეთივე დაჟინებით აწვება... მაგრამ რას? — სწორედ ეს არის საქმე: რომ ორგანო, რომლის გაღიზიანებას ცდილობს "კურიერი", მაყურებელსა თუ მსმენელს არ გააჩინა.

ამის საილუსტრაციოდ გამოვიყენეთ თვით "რუსთავი 2"-ზე გასული ერთი სიუჟეტი, რომელმაც გვამცნო, რომ გურჯაანის მახლობლად მდებარე სოფელ კარდანახის მოსახლეობამ აგურ-აგურ დამალა ისტორიული ძეგლი — კოტე აფხაზის საგვარეულო სასახლე. პირდაპირ აღვნიშნოთ, რომ სიუჟეტი მომენონა: სულ არ ჰგავდა იმ ყაიდის ინფორმაციას, რომლის კრიტიკით დავინყე დღევანდე-



ლი სტატია. ჩვენ ეს სიუჟეტი სხვა თვალსაზრისით გამოგვადგება.

რომის კოლოსუმის (ჩიქობავას ლექსიკონი გვიჩვენებს, "კოლიზი" დანერჟე და თქვითო, მაგრამ მე ენა არ მომიბრუნდება ამ აშკარა რუსიციზმზე), ერთი სიტყვით, ამ ყველა-სათვის ცნობილი გიგანტური ნაგებობის კედლები დღესაც ნაყვავილარით არის დაფარული აშკარად ხელოვნური ნარმოზობის ღრმულში: შუა საუკუნეებში რომის მცხოვრებნი წერაქვებით აზიანებდნენ ისტორიულ კედლებს დირეების ჩასამაგრებლად და ხის "ლოჯიების" მისაშენებლად. ასეთი არქეოლოგიური ვანდალიზმი ძალიან გავრცელებული იყო მთელ შუასაუკუნეობრივ ევროპაში, რომლის დიად ანტიკურ ნარსულს იმდროინდელი ინტელექტუალები ბევრად უფრო დიდ ყურადღებას უთმობდნენ, ვიდრე ჩვენ ვუთმობთ საკუთარ ისტორიას: თამამად შეიძლება ითქვას, რომ ანტიკურობის ხსოვნამ არა მარტო გადაარჩინა ძველი, არამედ უზრუნველყო ახალი.

საკითხი, რომელიც ახლა უნდა დავაყენოთ, ერთი შეხედვით, უაღრესად პრიმიტიულია, უფრო მეტიც, ლამის სულელურად ჟღერს: რატომ არ აგრძელებენ ევროპაში იაფი საშენი მასალის ძველებური ხერხებით შოვნას? პასუხი, რომ არსებობს ისტორიულ ძეგლთა დამცველი შესაბამისი კანონები, ამ შემთხვევაში არ არის საქმარისი. კანონები თუმც აუცილებელი და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი პირობაა ბევრად უფრო ფართო ფუნქციის შესასრულებლად: ეს ფუნქცია შეიძლება დავახასიათოთ როგორც ურღვევი და მტკიცე კავშირი ისტორიასა და რეალობას შორის, რომელსაც ევროპელს სკოლის

მერხიდან უნერგავენ. არა, ეს არ არის "პატივისცემა", ან "მონინება". ეს არის აზროვნება.

აზროვნების უქონლობა, კრიტიკული განსჯის არარებობა აკავშირებს ერთმანეთს ნესრიგის დამრღვევთა მიმართ ადმინისტრაციული სანქციის გამოყენებასა და ჯალალედინის ლაშქრობას, მაგრამ ვერავითარ სიახლოვეს ვერ ამჩნევს სოფელში მდგომ ნახევრად დანგრეულ ძველ ნაგებობასა და გუშინინ დაღუპულ წინაპართა სადღეგრძელოს შორის. აგურ-აგურ დაშლილი სასახლე არის ჩვენი ისტორიული მახსოვრობის ნათელი სიმბოლო: ადამიანები ერთდროულად ცხოვრობენ ორ ერთმანეთისაგან უფსკრულით გაყოფილ სამყაროში და არ იციან, როგორ დააკავშირონ ეს სამყაროები ერთმანეთს, აზრადაც არ მოსდით, რომ ასეთი დაკავშირება საჭიროა და შესაძლებელი. ზოგჯერ რაღაც ბუნდოვანი კი ჰკარნახობთ, რომ სინამდვილის გახლეჩა არ ეგების — ჰოდა, სწორედ აქ, გონების ამ ბუნდოვანებაში იქცევიან მტკივნეულ ადგილზე დაჭერის მსხვერპლად: რამდენიმე სიტყვა და უკვე თავისთავად ჩნდება ემოციური აფეთქება, ჰორმონების დუღილი, ჰიპერბოლიზაციის აპოთეოზი: "სიკვდილის ბრიგადები!", "გამოუშვით ბავშვები!", "ათასობით პოლიტპატიმარი!", "ტერიტორიები დაიკარგა!" და ა. შ.

დაიხ, "რუსთავი 2"-ც იგივე ხერხს მიმართავს: ოღონდ, როგორც ვთქვით, გამორიცხულია გრძობათა აბოპოქრება, აქ უბრალოდ მოვლენებისა და ციტატების ულიმდამო ჩამონათვალია. ეფექტურობა კი აკლია: მართლაც, სად ჰალდუნის ქამა და სად "ვაშინგტონ პოსტსა" და "ლიბერასიონს" შორის "ფაქიზი" განსხვავება! მიდი და

იტყვით თავი... მით უმეტეს, როცა შეუიარაღებელი თვალთაც ჩანს, რომ ეს განსხვავება არც იმით ესმით, ვინც ინფორმაციას გვანვდის... ხან რუსული ინტერნეტსაიტების კვალი იჩენს თავს და ხანაც RTVI-ს მიერ შთაგონებული სახალისო ვიდეო-ნიუსი მოგხიბლავს ურცხვი სიმშველით.

ზედმეტად ადვილია საქართველოში ჟურნალისტის პური, ისტორიული მახსოვრობა კი ძნელად მოიპოვება. ბავშვობიდან უნდა მიჩვევა და აღზრდა.

ეს აღზრდა არ გულისხმობს მუდმივ განებივრებასა და გაზულუქებას — არიქა, არაფერი ეწყინოს, არაფერი დაუშავდეს ჩვენი განსაკუთრებულ, სწორედ როგორც ყოველთვის გონიერ-სა და შეუცდომელ ქართველ ერს, რომელიც, ბიბლიური იობისა არ იყოს, მუდამ "წრფელ არს და მართალ" და ამიტომაც სწორედ ბიბლიური იობივით იტანჯება.

ალბათ ასეც არის, რადგან ცხოვრება მრავალგვარი და რთულია. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ როცა ადამიანები თავიანთი ხელით ანგრევენ და აცამტვერებენ საკუთარი წარსულის იშვიათი მოწმობას, მეორე მხრივ კი თვალის ჩინივით უფრთხილდებიან მტარვალისა და მოძალადის ჯართის ფასად შესაფასებელ კერძს, ნამდვილად უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ადამიანების შეგნება ძალზე შორს დგას სიჯანსაღისგან — ესეც ქართველი ვრია.

ბოლოს კი ისტორიული მახსოვრობის ცინცხალ მაგალითად მსურს მოვიყვანო დავით კოვზირიძის სვეტის დასასრული — ეს ტექსტი 11 აგვისტოს დაიბეჭდა მოკლე და ტეგადი სათაურით: "ომი". მის ბოლო აბზაცში მოიყვანა თავი თითქმის ყველაფერმა, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ: აღმატებულ ხარისხში მდგომი ზედსართავეების მოზღვაებიდან სიმტკიცისა და გონიერებისკენ მოწოდებაამდე. აქ მწარე მოგონებაცა და ჩვენი სულიერი მდგომარეობის მამხილებელ უწყებაზე გულიანი სიცილიც. გულიანი და ტრაგიკული:

"ჩემი მეგობარი ნინა ხაზზე იბრძოდა. 8 თუ 9 აგვისტოს, შეუაღმისას, რუსებს მოულოდნელ შეტევა დაუნყიათ და ტელეფონის გამორთვა ვერ მოასწრო. როცა ცეცხლი ცოტა ხნით შეწყდა, ასეთი მესიჯი დახვდა: "უგემრიელესი პიცა ადგილზე მიტანით! თუ იყიდით ოთხს, ერთს გაჩუქებთ!". მაგრად უცინიათ ბიჭებს. სამწუხაროდ, ბევრი მათგანისთვის ეს ბოლო გაცინება იყო. ამიტომ მაგრად უნდა დავდგეთ. მაგრად და ჭკუით."

კოკოთი მოსახლეობიდან იარაღის ამოღებას ცდილობს

სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ მოსახლეობას მოუწოდა, ნებაყოფლობით ჩააბაროს ცეცხლსასროლი იარაღი. სანაცვლოდ, კოკოთის მარიონეტული მთავრობა აპირებს, რომ ფულადი კომპენსაციაც დააწესოს, იტყობინება "ნიუ-იორკ ტაიმსი".

სტატიაში აღნიშნულია, რომ თითო ჩაბარებულ "კალაშნიკოვს" ტიპის იარაღზე მოსახლეობას 300-400 აშშ დოლარს შესთავაზებენ.

სტატის თანახმად, ბოლო ორი კვირის განმავლობაში ადგილობრივმა სამართალდამცავმა ორგანოებმა მოსახლეობიდან 100 ერთეული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს. ზოგი მათგანი ნებაყოფლობით იქნა ჩაბარებული. ამ იარაღებს შორისაა 15 ამერიკული M-4 ტიპის ავტომატური შაშხანა, რომელიც, გაზეთის ცნობით, რეგიონში აგვისტოს ომის შემდეგ გაჩნდა.

სეპარატისტული რეგიონის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვიტალი გასიევა "ნიუ-იორკ ტაიმსს" განუცხადა, რომ ამ კამპანიის მიზანია, თავიდან იქნეს აცილებული ის უარყოფითი მაგალითი, რომელიც რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე მიიღო, როდესაც ომის შემდეგ მოსახლეობაში და "უკონტროლო ელემენტებში" უამრავი იარაღი დარჩა.

ჯი-ეიჩ-ენი

წარსულის ფალსიფიცირება და სეპარატისტების სამხედრო ნადავლი

სოხუმის რეჟიმი ერთი წლის წინ კოდორის ხეობის ზემო ნაწილის "გამათავისუფლებელ ოპერაციას" აშშ-ის პოლიტიკური სტრუქტურებისა და რიგი ევროპული სახელმწიფოების მიერ პროვოცირებული აღვასებს. როგორც აფხაზეთის ე.წ. შეიარაღებული ძალების გენშტაბის ხელმძღვანელის, გენერალ-პოლკოვნიკ ანატოლი ზაიცევის მოხსენებაშია აღნიშნული, ამ ოპერაციის შედეგად, "აფხაზეთის ტერიტორია სრულად გათავისუფლდა ქართული სამხედრო ფორმირებებისგან, ქვეყნის იურისდიქციას მისი ტერიტორიის მეათედი ნაწილი დაუბრუნდა, უფრო ზუსტად, რესურსებით მდიდარი 864 ათასი კვადრატული მეტრი ნაკრძალი".

"აფხაზეთა ხალხმა საქართველოს გადამწყვეტი მარცხი მიაყენა და დამტკიცა თავისი ისტორიული მისწრაფება თვითდამკვიდრებისა და დამოუკიდებლობისაკენ", - აცხადებს ზაიცევი.

მისივე მტკიცებით, "კოდორის ხეობის ზემო ნაწილის ოპერაციამ ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე, ადამიანური მსხვერპლის გარეშე ჩაიარა, თუმცა აფხაზეთის ხელისუფლების, ძალადგანი სტრუქტურების და მოსახლეობის ორგანიზებულილობა მოითხოვა".

ამ დღეებში სოხუმის მარიონეტულმა რეჟიმმა რუსეთ-საქართველოს ომის დროს კოდორის ხეობაში მიტაცებული ქართული შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების სიაც გამოაქვეყნა. ე.წ. თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, აფხაზეთმა შენერთებმა კოდორის ხეობიდან ქართული არმიის კუთვნილი იარაღი და საბრძოლო მასალები 50 სატვირთო ავტომობილით გაიტანეს.

ნადავლი იარაღის ჩამონათვალი კი ასეთია: ტანკსანინალმდეგო ხელის ყუმბარმტყორცნის, "ჰოდ-7მ ყუმბარმტყორცნის 10 ათასი ჭურვი.

ტანკსანინალმდეგო ყუმბარმტყორცნის ოდ-9-ის 600 ერთეული ჭურვი.

ხელის ყუმბარმტყორცნის 1500 ერთეული ჭურვი.

82 მილიმეტრიანი ნალმტყორცნის 600 ერთეული ნალმი.

ყ-8 ტიპის (ნურსი) უმართავი 350 ერთეული სარაკეტო ჭურვი.

5,45 მილიმეტრიანი 124 ათასი ტყვია.

43 200 ერთეული ტრასირებული ტყვია.

ე-30 ტიპის 122 მილიმეტრიანი ჰაუზუცის 8 ერთეული და მათი 1,5 ათასი სასროლი ერთეული.

ამერიკული წარმოების 60 მილიმეტრიანი ნალმტყორცნის 804 ერთეული ნალმი.

4 ერთეული მსუბუქად შეჯავშნული გამწევი.

ნ-23-2 -ს ტიპის 4 მანქანი და ნადავარი.

1 ერთეული 57 მილიმეტრიანი ქვემეხი.

ლაპ-ის ტიპის ერთი სარაკეტო სისტემა.

აფხაზეთმა შენაერთებმა ასევე მიიტაცეს ქართული სამხედრო ნაწილების დიდი ოდენობით სამხედრო-ტექნიკური აღჭურვილობა. კოდორის ხეობის ოკუპაციის შედეგად აფხაზეთმა მხარე კონტროლი დაამყარა 864 კვადრატულ კილომეტრზე.

საკუთარი ინფორმაცია

ტირაჟი ნატოს შტაბ-ბინასთან ქაბულში

მარიკა იაშვილი

ავღანეთის დედაქალაქში ნატოს შტაბ-ბინასთან დანაღმული ავტომობილის აფეთქების შედეგად 7 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 90-ზე მეტი მიიმდებოდა დაზარადა. დაღუპულებს შორის ქვეყნის პარლამენტის დეპუტატი, ჰავა ნურისტანინც არის.

აფეთქება, რომელიც ქაბულის ერთ - ერთ ყველაზე მეტად გამაგრებულ რაიონში დილის საათებში მოხდა, იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი ხმა

სხვა რაიონებშიც კი გაიგონეს. ნატოს შტაბ - ბინა ქაბულში იმავე ქუჩაზე მდებარეობს, რომელზეც აშშ - ს საელჩო და პრეზიდენტის სასახლე. ერთ - ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უცხოური ორგანიზაციის ოფისზე თავდასხმა მომავალ არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე მოხდა. სულ რამდენიმე დღეში ავღანელებმა ქვეყნის პრეზიდენტი და ხელი-სუფლებების რეგიონალური ორგანიზაციის წევრები უნდა აირჩიონ.

თავდაპირველად ინფორმაცია მხოლოდ 3 გარდაცვლილის თაობაზე ვრცელდებოდა, თუმცა მოგვიანებით

ქვეყნის ხელისუფლებამ გაავრცელა ინფორმაცია 7 გარდაცვლილის თაობაზე. ყველა მათგანი სამოქალაქო პირია. ავღანეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, შემთხვევის ადგილზე კიდევ რამდენიმე მანქანა აფეთქდა.

არჩევნების წინა პერიოდში ვითარების გამწვავება მოულოდნელი არ ყოფილა. თალიბები უკვე დიდი ხანია აცხადებენ, რომ არჩევნების ჩასაშლელად ყველაფერს გააკეთებენ. ისინი მოსახლეობას ლიად მოუწოდებენ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადონ და ხმის მისაცემად უბნებზე არ გამოცხადდნენ, წინააღმდეგ

შემთხვევაში მათ მოლატედ გამოცხადებით ემუქრებიან და აფრთხილებენ, რომ უბანზე მისული ადამიანები შესაძლოა მათი "ოპერაციების მსხვერპლი გახდნენ."

ქვეყანაში უკვე გამოითქმის შუშოფობია იმის გამო, რომ არჩევნებამდე დარჩენილი რამდენიმე დღის განმავლობაში აფეთქებები კვლავ განმეორდება.

ნატოს ოფისთან განხორციელებული ტერაქტის შემდეგ, თალიბებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ არჩევნების ჩასაშლელად ნებისმიერ ხერხს მიმართავენ და 20 აგვისტოს ტერაქტებს პირდაპირ

საარჩევნო უბნებზე მოაწყობენ.

საერთოდ, ქაბულში მსგავსი ტერაქტები შედარებით იშვიათია, ვიდრე ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე, თუმცა ყოველთვის მასშტაბური. უკანსკნელი მსხვილი თავდასხმა დედაქალაქში თებერვალში მოხდა, როდესაც რამდენიმე შეიარაღებული და შაჰიდის ქარები ალყურული ადამიანი იუსტიციის სამინისტროში შეიჭრა. 2008 წლის ივლისში მძლავრი ბომბის აფეთქების შედეგად, რომელიც ავტომობილში იყო ჩამონტაჟებული, 50 ავღანელი და ორი ინდოელი დიპლომატი გარდაიცვალა.

პალესტინელები ერთმანეთს დაერივნენ

მოძრაობა "ჰამასმა", რომელიც ლაზის სექტორს აკონტროლებს, სასტიკი დარტყმა მიაყენა რადიკალურ ისლამისტურ დაჯგუფებას, რომელმაც სექტორში "ისლამური სამართალი" გამოაცხადა. "ჰამასის" უშიშროების ძალების წარმომადგენლისა და პალესტინელი ექიმების ინფორმაციით, შეტაკებისას დაიღუპა დაჯგუფება "ჯუნდ ანსარ ალახის" (ალაჰის მეზობლების) ხელმძღვანელი აბდელ ლატიფ მუსა. მიიჩნევა, რომ ამ დაჯგუფებას ურთიერთობა აქვს ტერორისტულ ორგანიზაცია "ალ-ქაიდასთან".

ბრძოლები გაიმართა ეგვიპტის საზღვრის ახლოს მდებარე ქალაქ რაფახში, მეჩეთთან და დაჯგუფების ხელმძღვანელის, რადიკალური სულიერი ლიდერის აბდელ ლატიფ მუსას სახლთან. "ჰამასის" შენაერთებსა და ისლამისტური დაჯგუფების მებრძოლებს შორის გააფთრებული ბრძოლა შვიდი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. შედეგად დაღუპულია სულ ცოტა 22 კაცი, ხოლო დაჭრილი რამდენიმე ათეული ადამიანი, ზოგი მონაცემით, დაახლოებით - 120. მათგან რამდენიმე კრიტიკულ მდგომარეობაშია.

მეჩეთში ამ დაჯგუფების დახლოე-



AFP © 2009

ბით 100 მებრძოლი იმყოფებოდა. მათ ფიცი ჰქონდათ დადებული, რომ სწორედ "ჰამასის" განკარგულებაში მხოლოდ მათი სიცოცხლის ფასად გადავიდოდა. "ჰამასის" შეიარაღებულმა ფორმირებებმა ალყა შემოარტყეს მთელ რა-

იონს, მეჩეთი დაცხრილეს ყუმბარასატყორცებითა და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებით. მებრძოლების გარდა მსხვერპლია მშვიდობიან მოსახლეობაშიც.

ეს დაჯგუფება მიიჩნევს, რომ მოძ-

რაობა "ჰამასი" ისლამის არასაკმარისად ერთგული მიმდევარია. აბდელ ლატიფ მუსამ ლაზას სექტორი "ისლამური სამართალი" პარასკევს გამოაცხადა, ტრადიციული ლოცვის წინ. ეს დაჯგუფება სულ ორი თვეა, რაც ცნობილი

გახდა. მაშინ მათ სცადეს თავდასხმის მოწყობა ლაზას სექტორისა და ისრაელის საზღვრის გამგებ პუნქტზე.

"ჰამასი" ცდილობს ასეთი დაჯგუფებების საქმიანობის აღკვეთას, რადგან მათი გაქვითვის ზრდის ემინია. ადამიანის უფლებათა დაცვის პალესტინურმა ცენტრმა დაგმო "ჰამასის" მიერ განხორციელებული ძალადობა ქალაქ რაფახში. ადამიანის უფლებათა დამცველების სიტყვებით, "ჰამასის" გასამხედროებული ფრთა არ არის სამართალდამცავი ორგანიზაციის ნაწილი და მათ არ ჰქონდათ ასეთი ოპერაციის ჩატარების უფლება.

დაპირისპირება სხვადასხვა პალესტინურ დაჯგუფებებს შორის ახალი ამბავი არ არის. ამის კლასიკური მაგალითი "ფატხისა" და "ჰამასის" ბრძოლაა, მაგრამ ნახევრად ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ნუსრიჯის დამყარების მცდელობა ცოტა უჩვეულოა. უფრო სავარაუდოა, რომ "ჰამასი" უზრალოდ სარგებლობს თავისი მდგომარეობით. იგი არჩევნების მოგების შემდეგ ლაზის სექტორს ოფიციალურად აკონტროლებს და კონკრეტულ ტერაქტებს ნებისმიერ შემთხვევაში იშორებს თავიდან.

მომზადდა ივა შილაკაძემ

ბიზნესი

სახაზინო ვალდებულებების პროცენტმა დაიკლო

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ხელმძღვანელი კახა სეხნიაშვილი სახაზინო ვალდებულებების აუქციონების შედეგებს დადებითად აფასებს.

საპროცენტო განაკვეთების მოცულობის დაკლება მაღალი კონკურენციისა და ნდობის შედეგია. სეხნიაშვილს მიაჩნია, რომ აუქციონებზე ბანკების მხრიდან განსაკუთრებული მოთხოვნაც სწორედ მაღალი ნდობის ერთ-ერთი ფაქტორია.

გასულ კვირას ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების №2 აუქციონი გაიმართა. აუქციონში მონაწილეობა ხუთმა კომერციულმა ბანკმა მიიღო.

სამინისტრომ აუქციონზე 5 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების, ამჯერად 175-დღიანი ვადის მქონე სახაზინო ვალდებულებები გამოიტანა. ბანკების მხრიდან მოთხოვნამ 16 700 000 ლარი შეადგინა. მიღებული განაცხადების რაოდენობამ 22 შეადგინა, დაკმაყოფილებული განაცხადების რაოდენობამ კი - 7.

სახაზინო სამსახურის ხელმძღვანელის განცხადებით, აუქციონზე ბანკების კლიენტების მიერ გაკეთებულმა განაცხადებმა ბანკების მიერ გაკეთებულ განაცხადებს განააჭარბა. დაკმაყოფილებული 7 განაცხადიდან მხოლოდ 1 იყო ბანკის განაცხადა, დანარჩენი 6 კი -

ბანკის კლიენტის განაცხადი.

12 აგვისტოს აუქციონის შედეგით, კვლავ დაფიქსირდა დაბალი საპროცენტო განაკვეთები. მინიმალურმა დაკმაყოფილებულმა განაცხადმა - 5.50 პროცენტი, მაქსიმალურმა - 6.09 პროცენტი, ხოლო საშუალო შენონილმა 5.950 პროცენტი შეადგინა.

სახაზინო ვალდებულებების მესამე აუქციონი ეროვნულ ბანკში მიმდინარე წლის 19 აგვისტოს გაიმართება. ფინანსთა სამინისტრო აუქციონზე 5 მლნ ლარის ოდენობის სახაზინო ვალდებულებების გამოშვებას გეგმავს.

სამი თვის განმავლობაში, სულ 15 სახაზინო ვალდებულებების აუქციონი

გაიმართება. აუქციონი ყოველ ოთხშაბათს იმართება.

სახაზინო ვალდებულებების გამოშვებას მთავრობის მიერ შემუშავებული ეკონომიკის სტიმულირების პაკეტი ითვალისწინებს.

პრემიერმა ნიკა გილაურმა კარგი მუშაობისთვის ეროვნულ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებთან დაკავშირებით განხორციელებული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა. მისი თქმით, "სახაზინო ვალდებულებები არის ერთდროულად რამდენიმე პარამეტრის მაჩვენებელი, კერძოდ იმისა, თუ რამდენად ჯანსაღია სახაზინო-საფინანსო სექტორი ქვეყანაში და რაო-

დენ დიდია ნდობა საქართველოს ეკონომიკური პროგრამის მიმართ და იმ მიმართულებებისადმი, რომლებსაც მთავრობა ეკონომიკაში ეწევა. მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებში სახაზინო ვალდებულებები გამოუშვეს, მაგრამ ეს კრახით დასრულდა. ის ფაქტი, რომ ჩვენთან საპროცენტო განაკვეთი 6%-ზე დაბალია, მიუთითებს იმაზე, რომ მთავრობის ეკონომიკური პროგრამის მიმართ ნდობა მაღალია"-განაცხადა გილაურმა და იმედი გამოთქვა, რომ საზოგადოებისთვის შეთავაზებული ფინანსური პაკეტი სექტემბერში უფრო ეფექტური იქნება.

რძის პროდუქტებზე კონტროლი მკაცრდება

მომავალი წლიდან საქართველოში რძის პროდუქტების კონტროლი გამკაცრდება. სურსათის უვნებლობის ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, "მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებები შევიდა, რომლის მიხედვით რძის მწარმოებლები ვალდებული ხდებიან ეტიკეტზე მიუთითონ, პროდუქტია ნატურალური რძისგან არის დამზადებული, თუ რძის ფხვნილისგან.

კანონის მიხედვით, ხაჭოზე, რძეზე, მანონზე, არაჟანზე, ყველულზე, იოგურტის ჯგუფის პროდუქტებზე მწარმოებლებმა თუ დისტრიბუტორებმა პროდუქტის საცალო შეფუთვის ეფექტიან ფართობზე, მკაფიო, კონტრასტული, ადვილად აღქმადი შრიფტით უნდა აღნიშნონ ნარწერა "დამზადებულია ნატურალური რძისგან" ან "დამზადებულია რძის ფხვნილის გამოყენებით".

აღნიშნული კანონი ძალაში 2010 წლის 1 იანვარს შევა.

"ეკო-ფუდში" აღნიშნულ ცვლილებას დადებითად აფასებენ. როგორც კომპანიის დირექტორი "კომერსანტს" აცნობეს, პროდუქტზე მინიშნებული უნდა იყოს, თუ რა კომპონენტებისგან არის დამზადებული. "ეს ცვლილება კომპანიისთვის დამატებით ხარჯებს მოიტანს, თუმცა ამ საკითხის გა-

დაჭრა არა მგონია რომელიმე კომპანიას გაუჭირდეს." - აცხადებენ კომპანიაში.

კომპანია "სანდოში" ცვლილებებს ასევე მიესალმებიან. როგორც კომპანიის ხელმძღვანელმა თამარ კუთხარაძემ განმარტა, მიუხედავად იმისა, რომ კანონის ამოქმედების შემთხვევაში უკვე შეფუთულ პროდუქტის შეცვლა იქნება საჭირო, რაც დამატებით ხარჯებს გამოიწვევს, კონტროლის გამკაცრება საჭიროა. "ნატურალური რძე იაფია, თუმცა ჰიგიენის პრობლემა დგას. ამიტომ რისკების თავიდან ასაცილებლად რძის ფხვნილს ვიყენებთ. თუმცა ნარწერაზე რძეც და ფხვნილიც არის მინიშნებული. ამიტომ ამას შევცვლით." - აცხადებს კუთხარაძე და დასძენს, რომ ეს ცვლილება ბაზარს უფრო გამჭვირვალეს და სანდოს გახდის.

რუსული "ვიმ ბილ დანის" საქართველოს წარმომადგენლობა რძის პროდუქტებზე კონტროლის გამკაცრებას სავალდებულოდ თვლის.

როგორც "ვიმ ბილ დან საქართველოში" განმარტავენ, ეს ცვლილება ბაზარს გამჭვირვალეს გახდის და კომპანიებისადმი ნდობის ფაქტორიც გაიზრდება. "რუსეთში ეს კანონი დიდი ხანია მიღებულია, ამიტომ ჩვენს ყველა პროდუქტს აქვს დატანებული ნარწერა, თუ რა კომპონენტებს შეიცავს"-აცხადებენ კომპანიაში.

კომერსანტი



**პირველად საქართველოში
ქილევ ერთი ტექნოლოგიური სიახლე მაგთიქსისგან!**

**მაგთიქსის მაღალსიჩქარიანი, უსაღწერო ინტერნეტი
EVDO ტექნოლოგიით**

შეიძინეთ EVDO მოდემი, შეაერთეთ კომპიუტერთან და გაქნებათ მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი მთელ საქართველოში - ყველგან, სადაც მაგთიქსია!




- სიჩქარე - 3.1 მებაიტებში წაშვით.
- ძალიან მარტივი ინსტალაცია 155 ლარი. EVDO USB მოდემს უფასოდ მიიღებთ.
- სერვისის 30-დღიანი გარანტიის სიჩქარე 45 ლარი. აქედან 15 ლარი დაირისხება თქვენ მიერ მიღებული მაგთიქსის ნომერზე.

ინფორმაციისთვის მაგთიქსი, ზალი და მაგთიქსი 443 3836 ან მოხარულით მაგთიქსის მომსახურების ნაწილობრივ ოფისში.

ფანჯარა ევროპიდან რუსეთში

ნანა ჯორჯაძის ბოლო ფილმმა რუსული კინოს ფესტივალის მეორე პრიზი მოიპოვა

ნა ვაჰაა

ნანა ჯორჯაძის ბოლო ფილმი, მეოცნებე "სუპერგმირების" შესახებ გადაღებული **The Rainbowmaker**, ვიბორგის რუსული კინოს ფესტივალზე "ფანჯარა ევროპაში" იყო წარმოდგენილი, სადაც ფესტივალის მეორე პრიზი - "ვერცხლის ლაზიერი" დაიმსახურა. ფესტივალის მთავარი პრიზი, ამჯერად ოქროსი კი ანდრეი ხრუჩანოვსკის ძალიან გრძელ სათაურიანმა ფილმმა მიიღო. ამავე ფილმში მთავარი როლის შემსრულებელი ალისა ფრენდლინი კი ქალის მთავარი როლის შესრულებისთვის დაჯილდოვდა.

ქართველი რეჟისორის მიერ ევროპაში გადაღებულმა ფილმმა ფანჯარა საინააღმდეგო მიმართულებით შეაღო და ვინ იცის, მერამდენე ხარისხოვანი კინოფესტივალის მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა. ჯორჯაძის 2008 წლის ფილმს არც აქამდე ჰქონია განსაკუთრებული გამოხმაურება და მის აქტივში ვერც ცნობილი კინოფესტივალის ლინკებს შეხვდებით. ჯორჯაძის ფილმი ქართველ მაყურებელს არ უნახავს, ამიტომ ძნელია მის ავკარგინობაზე საუბარი, თუმცა იმ ფაქტების გაანალიზებით, რომელთა მოძიება ინტერნეტში შეიძლება, შეიძლება ითქვას, რომ ეს ნამდვილად არაა მისი საუკეთესო ფილმი.

არადა **The Rainbowmaker**-ს (ქართულად სათაურის თარგმანში შეიძლება, როგორც "ამინდის მმართველი", "ამინდის შემქმნელი". რუსულ თარგმანში კი მას **Метеоидиот** ჰქვია) პრაქტიკულად ყველაფერი აქვს საიმისოდ, რომ კარგი იყოს: ნანა ჯორჯაძე რეჟისორის საფარველში, რომლის გვერდითაც ტრადიციულად სცენარის ავტორი ირაკლი კვიციანი, როლებში კი რამაზ ჩხიკვაძე, მერაბ ნინიძე, ჩულპან ხამატოვა, ნინო კირთაძე და სხვები არიან (ძირითადად



ქართველი მსახიობები). ნანა ჯორჯაძე ფილმს საქართველოში იღებდა, თუმცა პროდუქცია გერმანულ-ფინურ-რუსულია - რუსული კინოს ფესტივალზეც ალბათ ამ ლოგიკით მოხვდა.

როგორც ინტერნეტში ფანჯარაში ვკითხულობთ, ნანა ჯორჯაძის ფილმი მაგიური რეალიზმით სავსე, ტრაგიკომედიაა ფანტასტიკის შტრიხებით. თავად ისტორია კი დონ კიხოტის თავგადასავალსაც მოგაგონებთ და ჩაპლინის ფილმებსაც. ეს არის ხელმოცარული, უიღბლო "პატარა ადამიანის" ამბავი, რომელსაც ამ ქვეყნად არაფერი გააჩნია - არც ძალა, არც ფული და არც კარგი გარეგნობა. თუმცა აქვს სიყვარულისა და ერთგულების ნიჭი. მას ბოლომდე უყვარს თავისი ლამაზი ცოლი, რომელიც პირველივე შემხვედრთან ერთად გაიქცა და ტყუპები დაუტოვა, რომლებსაც მისი მა-

მობის აღიარებაც არ სურთ. მთავარ გმირს, დათოს, მერაბ ნინიძე ასრულებს. იგი მცირედი გაუგებრობის გამო ციხეში აღმოჩნდება, შინ დაბრუნებული კი ცოლისა და შვილების სიყვარულის მოპოვებას ცდილობს და სწორედ მაშინ, როდესაც ამ ბრძოლაში გამარჯვების ყველანაირი იმედი გადაეწურება, მის დასახმარებლად ზეციური ძალები მოდიან. სწორედ მათი დახმარებით დათო ზეზუნებრივ ძალას შეიძენს და უბრალო მეტეოროლოგი ამინდის მართვის ხელოვნებას სწავლობს - შეუძლია ზაფხულში თოვლი მოიყვანოს, სუსხილიან ამინდში კი ცისარტყელა შექმნას. დათო სწორედ ამ უცნაური ნიჭის წყალობით ცდილობს ოჯახის წევრების, შვილების სიყვარულის დაბრუნებას, რაშიც მამაც (რამაზ ჩხიკვაძე) ეხმარება.

ნანა ჯორჯაძისა და ირაკლი კვიციანის ოჯახური წყვი-

ლი მრავალი წელია შესანიშნავ კინოდუეტს ქმნის. ჯორჯაძის ფილმების უმეტესობა სწორედ მეუღლის სცენარის მიხედვითაა გადაღებული: "მოგზაურობა სობოტში", "რობინზონი-ადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა", 1997 წელს "ოსკარზე" ნომინირებული "შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი", "27 დაკარგული კოცნა", "ფოსტალიონი" და სხვა. სწორედ ირაკლი კვიციანის სცენარის მიხედვით გადაღებულ "ლუნა პაპაში" თამაშობს მერაბ ნინიძისა და ჩულპან ხამატოვას წყვილიც, რომლებმაც კიდევ ერთ ფილმში შექმნეს არაჩვეულებრივი დუეტი - ალექსი გერმან-უმცროსის შარშანდელ "ქალაქის ჯარისკაცში". ფილმი 2008 წლის თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზეც იყო წარმოდგენილი და საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა.

გარდაიცვალა გიტარისტი, მაგრამ დარჩა გიტარა - Les Paul



ნიუ იორკში, 95 წლის ასაკში, ფილტვების ანთების გართულებისგან გარდაიცვალა ლეგენდარული გიტარისტი ლეს პოლი. აღიარებული მუსიკოსი და ასევე გიტარის ცნობილი მოდელის - Les Paul-ის შემქმნელი.

ელექტროგიტარა - Gibson Les Paul - ლეგენდად იქცა, განსაკუთრებით როკმუსიკის ხანაში. მასზე უკრავდნენ როგორც აღიარებული მუსიკოსები, ასევე ისინი, ვისაც სურდა აღიარება.

გიტარისტის გარდაცვალების შესახებ იუწყება ფირმა Gibson-ი, ეს უკანასკნელი უკვე 60 წელია რაც ამ მოდელის გიტარებს აწარმოებს. ლეს პოლის გიტარა პირველად 1952 წელს გამოვიდა და ის გახდა კატალიზატორი როკმუსიკის განვითარების პროცესში.

გიტარისტი ასევე გახლდათ პიონერი ხმის ჩანერის ტექნოლოგიაში, სხვადასხვა ტიპის მონტაჟების, ხმათა "დადების" გამოყენებით. ლეგენდარული Les Paul-ის უღერადობა კარგად არის ნაცნობი ისეთი გიტარისტების მსმენელისთვის, როგორებიც არიან ჯიმი ჰენდრი, სტივ ჯონსი, გარი მური და სხვები.

ერთი მთლიანი ხის ნაჭრისგან შექმნილი გიტარა ლეს პოლმა პირველად 1941 წელს შექმნა, მაგრამ მთელი 11 წელი დასჭირდა იმას, რომ მისი გამოგონება ფართო წარმოებად ქცეულიყო.

გაისეირნეთ ვერსალის ბალებში!

კომპანია Google-მა ფრანგული ვერსალის ბალებში სერვისისათვის Street View გადაღებები დაიწყო. ამის შესახებ ინფორმაციას AFR-ი ავრცელებს.

ვერსალის ბალების აღსაბეჭდავად, Google-ის ცხრა კამერა განთავსებულია არა ავტომობილებზე, როგორც ეს ქალაქებში გადაღებისას ხდება, არამედ სპეციალურ სამბორბლიან ველოსიპედებზე. ეს კამერები ფოტოებს ყოველ ორ მეტრში ერთხელ ავტომატურად იღებს. აღსანიშნავია, რომ გადაღებები მიმდინარეობს არა მხოლოდ ძირითად გზებზე, ასევე, რთულად მისაღწევ საცალფეხო ზონებში. ადგილმდებარეობათა ჩამონათვალში ვერსალის დამატებას Google-ი 2009 წლის ბოლოს გეგმავს. აღსანიშნავია, რომ ამავე მიზნით გადაღებები ერთი კვირით ადრე პარიზშიც დაიწყო.

რას გვთავაზობს სერვისი Street View? მისი დახმარებით ინტერნეტის მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა ვირტუალურად "გაისეირნოს" აშშ-ს, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, ავსტრალიისა და იაპონიის რამდენიმე ქალაქში. 2008 წლიდან, როდესაც ამ სერვისმა ევროპის ათვისება დაიწყო, Google-ი იყენებს სპეციალურ პროგრამას, რომელიც კადრში მოხვედრილი ადამიანების სახეებს არ ფარავს - ამას ევროპული პირადი ინფორმაციის დაცვის შესახებ კანონი ითვალისწინებს.

24 საათი

ტარვის ახალი ინიცატივა

ქორეოგრაფი ტვალა ტარპი აშშ-ს თანამედროვე ცეკვის დამდგმელთაგან ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანია. 2009 წლის სექტემბერში ის წარმოადგენს ახალ პროექტს, რომელიც ფრენკ სინატრას სიმღერებზე იქნება აგებული. აქამდე ტარპმა წარმატებით განახორციელა პექტაკლები ბობ დილანისა და ბილი ჯოელის მუსიკაზე. The New York Times-ი შეგვახსენებს, რომ ჟოელის მიუზიკლის, სახელწოდებით Movin' Out, ქორეოგრაფიისათვის მას პრესტიჟული ბროდვეული პრემია "ტონი" მიენიჭა.

ფრენკ სინატრას მუსიკაზე აგებული სპექტაკლის სახელწოდებაა Come Fly With Me. მასში გამოყენებულია მომღერლის ცნობილი ჰიტები, მათ შორის, My way, Witchcraft, Summer Wind. ამ წარმოდგენაში მონაწილეობს ოთხი წევრი. მათ ხან უყვარდებთ ერთმანეთი, ხანაც შორდებიან. აღსანიშნავია, რომ 2007 და 2008 წლებში რუსეთის დიდი თეატრში მიმდინარეობდა ერთაქტიანი, ფილიპ გლასის მუსიკაზე აგებული ბალეტი "ზედა ოთაში", რომელიც "ამერიკული ქორეოგრაფიის საღამოების" პროგრამაში იყო ჩასმული.

24 საათი

საზაფხულო 25%-იანი ფასდაკლება

<p>Tucson</p>  <p>17 550</p>	<p>Santa Fe</p>  <p>24 500</p>	<p>Sonata</p>  <p>19 400</p>	<p>HYUNDAI i30</p>  <p>15 200</p>
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

HYUNDAI www.hyundai.ge 51 77 99

კანონები, როგორცაა ცოდნას აუცილებელია

კანონრეიტები, რომელთა განხილვამ და მიღებამ დამტკიცებამ დიდი ხმაურით ჩაიარა, რამდენიმე დღეში ამოქმედდება. საუბარი იმ საკანონმდებლო სიახლეებზე, რომლებიც კარგა ხნის განმავლობაში სერიოზული მსჯელობისა და განხილვის საგანი იყო და რომლებიც "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში", "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" და "პოლიციის შესახებ" კანონში შევიდა.

შეკრებებისა და მანიფესტაციების განახლებული წესები, მანიფესტაციების დაშლისას პოლიციელების მიერ არალეგალური იარაღის გამოყენების უფლება და 90-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა 18 აგვისტოდან საბოლოოდ დაკანონდება.

საქმე ისაა, რომ პარლამენტის მიერ ცოტა ხნის წინ მიღებული და დამტკიცებული კანონები "საკანონმდებლო მაცნეში" უკვე გამოქვეყნდა. ძალაში კი, პროცედურის მიხედვით, გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს - 18 აგვისტოს უნდა შევიდეს.

კანონმდებლობაში შესული ცვლილებები აქციების დროს ქუჩის გადაკეცვის შესაძლებლობებს და წესებს ადგენს. შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზატორებს, წესების დარღვევის შემთხვევაში, ჯარიმას უნესებს, პოლიციელებს სამსახურებრივი მოვალეობის დროს სიცოცხლისთვის არასაშიში იარაღის გამოყენების უფლე-

